საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №49
2017 წლის 27 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, 42-ე და 43-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს:

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში (სსმ III, 8.12.2008 №175, სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.460) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სს „ენერგო–პრო ჯორჯიას” მიერ გამანაწილებელი ქსელით ელექტროენერგიის გატარების ტარიფები:

ა) 220/380 ვოლტი - 7.332 თეთრი/კვტსთ;

ბ) 3,3-6-10 კილოვოლტი - 3.237 თეთრი/კვტსთ;

გ) 35-110 კილოვოლტი - 2.058 თეთრი/კვტსთ;“

2. მე-9 მუხლი ამოღებულ იქნეს.

3. 9^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9^1. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას” ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები

ა) 220/380 ვოლტი - 7.332 თეთრი/კვტსთ;

ბ) 3,3-6-10 კილოვოლტი - 3.237 თეთრი/კვტსთ;

გ) 35-110 კილოვოლტი - 2.058 თეთრი/კვტსთ;.“

4. მე-11 მუხლი ამოღებულ იქნეს.

5. 11^1 მუხლ*ის:*

ა) პირველი პუნქტის:

ა.ა) „ა“–„ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) 220/380 ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი) - 17.867 თეთრი/კვტსთ;

ბ) 3,3-6-10 კილოვოლტი - 13.772 თეთრი/კვტსთ;“

ა.ბ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) 35-110 კილოვოლტი - 12.593 თეთრი/კვტსთ.”

ბ) მე–2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს რეგიონებში (სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აბონენტებისათვის) საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის (მოსახლეობისათვის) 220/380 ვოლტ ძაბვაზე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები (30 კალენდარულ დღეში):

ა) 101 კვტსთ-ის ჩათვლით - 12.065 თეთრი/კვტსთ;

ბ) 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით - 15.435 თეთრი/კვტსთ;

გ) 301 კვტსთ-დან და მეტი - 19.265 თეთრი/კვტსთ.“.

მუხლი 2

1. დადგენილება, გარდა პირველი მუხლის მე–5 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 1 იანვრამდე.

2. ამ დადგენილების პირველი მუხლის მე–5 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2017 წლის 30 ივნისის N1187-IIს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–2 მუხლის „ლ[1]“ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**ირინა მილორავა**
კომისიის წევრი	**გიორგი ფანგანი**
კომისიის წევრი	**მაია მელიქიძე**
კომისიის წევრი	**გოჩა შონია**